



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აზუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 84
15/02/2019

84-09-4-201902151825



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**თვითმმართველი თემი ხულოს მუნიციპალიტეტის მომსახურე კომერციული ბანკის
შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. თვითმმართველი თემი ხულოს მუნიციპალიტეტის მომსახურე კომერციული ბანკის შერჩევის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი.
2. საბანკო მომსახურების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 01 მარტიდან 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით, აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით 1 (ერთი) კალენდარული წლის ვადით.
3. კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს კომისიამ შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-მერის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;
 - ბ) ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
 - გ) ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
 - დ) ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;
 - ე) ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - კომისიის წევრი;
 - ვ) ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
 - ზ) ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
 - თ) ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი - კომისიის მდივანი;

4. დაევალოს საკონკურსო კომისიას კონკურსის პირობებისა და პროცედურების განსაზღვრა.

5. დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს (ა. ბოლქვაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის №5) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე
ვახტანგ ზერიძე

მუნიციპალიტეტის მერიის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა

